

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14, 1999 წელი, მუხ. 62) მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პლენუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი – გენერალური პროკურორი და საქართველოს მთავარი პროკურორი. პლენუმის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები, შესაბამისი სპეციალისტები და სხვა პირები.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*